

# იმუნაზ

სპრეი

გამოყენების ინსტრუქცია

## აღწერა

**სავაჭრო დასახელება:** იმუნაზ სპრეი/ IMMUNAZ Spray.

**საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება):** მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური პეპტიდების ჯამი.

**კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი:** პარაფარმაცევტული საშუალება → ბიოლოგიურად აქტიური დანამატი → იმუნოლოგია → იმუნომოდულატორი ინტერფერონები → ფიტოპრეპარატები.

**მწარმოებელი კომპანია:** ქიმბიოფარმი, შპს „ალექსბიო“-ის დაკვეთით.

**მწარმოებელი ქვეყანა:** საქართველო.

**გამომშვების ფორმა:** 0.02% -იანი 20 მლ ხსნარი დოზირებული სპრეის სახით ორალური და ნაზალური შესხურებისათვის, მინის ფლაკონი №1 გამფრქვევით. ინსტრუქციასთან კომპლექტში მუყაოს კოლოფში.

**გაცემის რეჟიმი:** III ჯგუფი (ურეცეპტოდ).

**შემადგენლობა:** გა-40 ( მცენარეული პოლიპეპტიდების ჯამი) – 4 მგ.

**დამხამრე ნივთიერება:** ფიზიოლოგიური საინექციო ხსნარი.

## ფარმაკოლოგიური თვისებები

იმუნაზა წარმოადენს სამკურნალო მცენარიდან იდენტიფიცირებულ სხვადასხვა ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე პოლიპეპტიდების ჯამს. იმუნაზას შემადგენლობაში შედის ანტისიმსივნური, იმუნომოდულატორი, ანტიოქსიდანტური, ანტიანგიოგენური, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, ორგანიზმიდან მძიმე მეტალების გამომდევნი და სხვა ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე რეგულატორული პოლიპეპტიდები.

იმუნაზ ადადგენს და იცავს გარეგანი და შინაგანი უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად დარღვეულ სისხლის იმუნოლოგიურ მაჩვენებლებს. ადადგენს იმუნიტეტის T და B უჯრედული სისტემების მაჩვენებლებს. სისხლში აღინიშნება T-საერთო, T-აქტიური, T-ჰელპერების, T-ციტოტოქსიკური, T-სუპრესორების, ბუნებრივი მკვლელი უჯრედების (NK-უჯრედები), ლეიკოციტების, მაკროფაგების, ეოზინოფილების, ბაზოფილების, ჩხირბირთვიანების, სეგმენტბირთვიანების, მონოციტების დარღვეული რაოდენობრივი მაჩვენებლების ნორმალიზაცია; იწვევს მაკროფაგების ფაგოციტოზის აქტივაციას. აინდუცირებს სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის (TNF- $\alpha$ ), გამა-ინტეფერონის (INF- $\gamma$ ) სინთეზს. ადადგენს სისხლში იმუნოგლობულინების შემცველობის მაჩვენებლებს; ამცირებს ერითროციტების დალექვის სიჩქარეს (ედს).

იმუნაზ ალდგენს სხვადასხვა უარყოფითი ფაქტორების ზემოქმედებით დარღვეულ სისხლის ბიოქიმიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, აღინიშნება საერთო ცილის, ალბუმინების, გლობულინების, მარკერული ფერმენტების ალანინ-ამინოტრანსფერაზა (ALT), ასპარტატამინოტრანსფერაზა (AST), გლუტამინეტრანსპეპტიდაზა, ტუტე ფოსფატაზა, აგრეთვე შარდოვანას, კრეატინინის, საერთო ბილირუბინის, თავისუფალი და დაკავშირებული ბილირუბინის, გლუკოზის შემცველობის მაჩვენებლების ნორმალიზაცია. იმუნაზ-ის გამოყენებისას შეინიშნება კანცეროემბრიონული ანტიგენის (CEA),  $\alpha$ -ფეტოპროტეინის (AFP), პროსტატსპეციფიკური ანტიგენის (PSA) და სხვა სპეციფიკური მარკერების მაჩვენებლების დადებითი დინამიკა. იმუნაზ დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე სისხლში ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმისა და სხვა იონების შემცველობაზე.

იმუნაზ იწვევს ნეიტროფილებისა და მაკროფაგების ფაგოციტოზის აქტივაციას, რაც უზრუნველყოფს ვირუსით ინფიცირებული და დაზიანებული უჯრედების და დაგროვილი ტოქსინების აქტიურ შთანთქმას და მათ ნეიტრალიზაციას. ასუფთავებს ორგანიზმს სხვადასხვა მიკრობებისაგან. ამგვარად, იმუნაზ უზრუნველყოფს ორგანიზმის დეტოქსიკაციას.

იმუნაზ გააჩნია გამოკვეთილი ანტიოქსიდანტური და ციტოპროტექტორული თვისებები. იგი იწვევს უჯრედშიდა წყალბადის ზეჟანგის შემცველობის მნიშვნელოვან შემცირებას. მნიშვნელოვნად ამცირებს რძის მჟავის, პიროყურძნის მჟავის, შარდის მჟავის, ქსანტინის და წყალბადის ზეჟანგის შემცველობას. ზრდის ღვიძლში ჟანგბადის, ცილების, შეუცვლელი ამინომჟავების და ატფ-ის შემცველობას.

იმუნაზ გააჩნია გამოკვეთილი ანტიანგიოგენეზური მოქმედება. მკურნალობის შედეგად იწვევს სისხლში ეპითელიალური უჯრედების ზრდის ფაქტორის შემცველობის შემცირებას და აჩერებს სიმსივნურ წარმონაქმნში ახალი სისხლძარღვების წარმოქმნის პროცესს.

### ჩვენებები

- იმუნიტეტის აღდგენა-დაცვა.
- დეტოქსიკაციური მოქმედება.
- ანტიოქსიდანტური მოქმედება.
- ანტიანგიოგენეზური მოქმედება.
- მძიმე მეტალების გამოდევნა.

### გამოყენება

იმუნაზ გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება დაავადებათა პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

იმუნაზ-ას შემადგენლობაში შემავალი პოლიპეპტიდების ჯამის მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური თვისებების გამო იგი წარმატებით გამოიყენება როგორც დამხმარე საშუალება ფართო სპექტრის დაავადებების პროფილაქტიკის, მკურნალობის და რეაბილიტაციის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით:

- იმუნოდეფიციტური, ავტოიმუნური და ალერგიული დაავადებები. (შიდა და გარე ფაქტორებით გამოწვეული იმუნიტეტის დარღვევა)

- ინფექციურ-ანთებითი დაავადებები (ვირუსით, ბაქტერიებით და პარაზიტებით გამოწვეული დაავადებები)
- სიმსივნური დაავადებები (ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები, განსაკუთრებით თავის ტვინის, ცხვირ-ხახის, პირის ღრუს ორგანოების და ფილტვის სიმსივნეების შემთხვევაში).
- ინტოქსიკაცია გამოწვეული ქიმიო- და რადიო-თერაპიებით, ხანგრძლივი ანტიბიოტიკოთერაპიით, ალკოჰოლით, ნარკოტიკებით, საკვებით, მძიმე მეტალებითა და შხამ-ქიმიკატებით.
- გულსისხლძარღვთა დაავადებები: პოსტინფარქტის, პოსტინსულტის და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაცია.
- ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების გასაძლიერებლად.
- ორგანოებისა და სისტემების ფუნქციური აქტივობის შესანარჩუნებლად.
- დაღლილობა, მოდუნება, ენერჯის აღდგენა, სასიცოცხლო ძალების აღდგენა.
- მეხსიერების, გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითება. გამოიყენება გონებრივი დაღლილობისა და ქრონიკული დაღლილობის სინდრომის დროს.

#### **მიღების წესი და დოზირება**

**მიღების წესი:** იმუნაზ-ის მიღება ინტრანაზალურად (ცხვირის ნესტო) და ორალურად (ხახა). გამოყენებისას ფლაკონი უნდა გვეჭიროს ვერტიკალურად, გამფრქვევით ზემოთ. პირველი გამოყენების წინ ავავსოთ დოზატორის ტუმბო, გაფრქვევის სახურავზე 2-3-ჯერ ბოლომდე დაჭერთ. მოვათავსოთ გამფრქვევი ცხვირის ნესტოში, თავის ვერტიკალური მდგომარეობის პირობებში და დავაწვეთ გაფრქვევის სახურავს ბოლომდე. იგივე პროცედურას ვიმეორებთ ცხვირის მეორე ნესტოში. ორალური გაფრქვევისას ფლოკონი გვიჭირავს ვერტიკალურად, გამფრქვევის ცხვირი მიმართულია ფლაკონის მიმართ 90 გრადუსიანი კუთხით და თავსდება პირის ღრუში რაც შეიძლება ღრმად. პრეპარატის მიღება უნდა მოხდეს ჭამამდე ნახევარი საათით ადრე ან ჭამის შემდეგ.

**გამოყენების სქემა და დოზირება** იმუნაზ-ის მიღება დღეში 1 ან 2-ჯერ (12 სთ-იანი შუალედებით). დაავადების სირთულიდან გამომდინარე დასაშვებია პრეპარატის მიღება დღეში 3-ჯერ ან 4-ჯერ. მკურნალობის ერთი კურსი შეადგენს 15 დღეს.

**ბავშვებში 2-12 წლამდე და მოზარდებში, 2-2** დოზა-გაფრქვევა ცხვირის ნესტოებში და 2 დოზა-გაფრქვევა პირის ღრუში, დღეში ერთ ჯერ.

**ზრდასრულებში, 2-2** დოზა-გაფრქვევა ცხვირის ნესტოებში და 2 დოზა-გაფრქვევა პირის ღრუში, დღეში ორჯერ დილას და საღამოს, 12 საათიანი შუალედებით.

**გამოყენების ხანგრძლივობა** განისაზღვრება ინდივიდუალურად და საშუალოდ შეადგენს 7 კვირას. გამოყენება შესაძლებელია გაგრძელდეს დაავადებების სრულ რეგრესიამდე. ყველა შემთხვევაში იგი შედგება სულ მცირე 3 კურსისაგან, მათ შორის პაუზებით 7-10 დღე.

### **გვერდითი მოვლენები**

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები. შესაძლებელია ინდივიდუალური ჰიპერმგრძობლობის გამოვლენა სამკურნალო საშუალების კომპონენტების მიმართ.

### **უკუჩვენება**

არ არის გამოვლენილი.

### **ორსულობა და ლაქტაციის პერიოდი**

იმუნაზ-ის გამოყენებისას ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში უკუჩვენებები არ არის გამოვლენილი.

### **მითითება „მოხსნის სინდრომის“ რისკის განვითარების შესახებ**

იმუნაზ-ს არ გააჩნია „მოხსნის სინდრომი“.

### **სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმების მომსახურეობის უნარზე ზეგავლენა**

არ ახდენს გავლენას სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმების მომსახურეობის უნარზე.

### **განსაკუთრებული მითითებები**

დაუშვებელია მკურნალობის პერიოდში ალკოჰოლის მიღება.

### **ჭარბი დოზირება**

იმუნაზ - ის 40-ჯერადი თერაპიული დოზის გამოყენების პირობებშიც კი, სრულიად უსაფრთხოა ორგანიზმისათვის.

### **სხვა წამლებთან ურთიერთქმედება**

თავსებადია ყველა სამკურნალო საშუალებასთან, რომელიც გამოიყენება ზემოთ დასახელებული დაავადებების სამკურნალოდ.

### **შენახვის პირობები და ვადები**

ინახება სინათლისაგან დაცულ, მშრალ, გრილ ადგილას.

ვარგისიანობის ვადა: გახსნიდან 1 თვე. გაუხსნელი 2 წელი.

### **აფთიაქში გაცემის წესი**

გაიცემა ურეცეპტოდ.

**მწარმოებელი:**

ს.ს. „ბიოქიმფარმი“ - შპს,  
მედიკო-ბიოლოგიური  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
"ალექსბიო"-სათვის.